



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოვალკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 08, 2024

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
"30 წელიწადში ქვეყნის გაზიფიცირებული დასახლებული პუნქტების რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბა" - სემეკის როლი ბუნებრივი გაზის სექტორის განვითარებაში	2
უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მსხვილი ნავთობკომპანიების მოგებამ 260 მილიარდ ევროს მიაღწია: ანგარიში	3
ელექტროენერგეტიკა	3
ნეტო აღრიცხვის სისტემაში ჩართული ელექტროსადგურების რაოდენობა გაიზარდა....	3
იანვარში საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა 15.5 თეთრი შეადგინა, დერეგულირებული ელექტროსადგურების ფასმა კი - 18.5	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა	5
სამსახურში ელექტრომობილის უფასო დამუხტვა? ეს შესაძლებელია მზის ენერჯის ოპტიმალური გამოყენების საშუალებით	5
წყალბადი: დაბალნახშირბადიანი მომავლის საწვავი	5
კლიმატის ცვლილება	7
კვლევის თანახმად, ავტომობილების გამონაბოლქვი 14%-ით მეტია, ვიდრე მწარმოებლები აცხადებენ რეკლამებში	7
კავშირი გლობალურ მშპ-ს ზრდასა და CO2-ის ემისიებს შორის სწრაფად სუსტდება. მიაღწევს თუ არა ემისიები პიკს 2030 წელზე ადრე?	8
ლონისძიებები	9

ნავთობი და გაზი

"30 წელიწადში ქვეყნის გაზიფიცირებული დასახლებული პუნქტების რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბა" - სემეკის როლი ბუნებრივი გაზის სექტორის განვითარებაში

ბუნებრივი გაზის სექტორი ერთ-ერთია იმ მიმართულებებიდან, რომელსაც სემეკი არეგულირებს. სექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე სემეკი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა იმისათვის, რათა ბუნებრივი გაზის მიმართულებით არსებული ინფრასტრუქტურა და სამუშაო პროცესი მაქსიმალურად გამართული ყოფილიყო. აღნიშნული სამუშაოების ფონზე როგორც სემეკში აცხადებენ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველოში გაზიფიცირებული დასახლებული პუნქტების რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბა.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ბუნებრივი გაზის ბაზარზე ოპერირებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების 1 და განაწილების 20 ლიცენზიატი. „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ბუნებრივი გაზის სფეროს მომწესრიგებელ ნორმებში, მათ შორის, შეიცვალა ლიცენზირებასთან დაკავშირებული საკითხებიც. ახალი კანონის თანახმად, ნაცვლად ორი ტიპის ლიცენზიისა, ბუნებრივი გაზის სექტორში კომისია გასცემს შემდეგი ხუთი სახის ლიცენზიას, მათ შორის:

- ბუნებრივი გაზის გადაცემა;
- ბუნებრივი გაზის განაწილება;
- ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირება;
- გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ოპერირება;
- ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირება.

კომისიის მიერ ტრანსპორტირების გაცემულია ლიცენზია ერთადერთი ბუნებრივი გაზის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ სახელზე, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას. დღესდღეობით ტრანსპორტირების სისტემას გააჩნია 5 მიღების პუნქტი, საიდანაც 1 წარმოადგენს ადგილობრივი მოპოვებიდან მიღების პუნქტს, ბუნებრივი გაზის მიწოდების უმთავრეს წყაროდ კი კვლავ აზერბაიჯანის რესპუბლიკა რჩება.

ყურადღასაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ბუნებრივი გაზის ორგანიზებული ბაზარი არ არსებობს და ყიდვა-გაყიდვა საბითუმო ბაზარზე ხდება ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით. სემეკის პოზიციის მიხედვით, ბუნებრივი გაზის ბაზრების მოწყობის ყველაზე სასურველი მოდელი საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ აღიარებული კონკურენტული ბაზრის მოდელია, ვინაიდან, ერთი მხრივ, ევროკავშირში არსებული ბუნებრივი გაზის ბაზრები წარმოადგენს მსოფლიოში ერთ ერთ ყველაზე ეფექტიან და ლიკვიდურ ბაზრებს, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი გაზით ვაჭრობის თანამედროვე მოდელების დანერგვას და, მეორე მხრივ, მათი დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

წყარო: <https://bit.ly/3OY29vr>

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მსხვილი ნავთობკომპანიების მოგება 260 მილიარდ ევროს მიაღწია: ანგარიში

არასამთავრობო ორგანიზაცია Global Witness-ის ცნობით, ევროპულმა და ამერიკულმა ნავთობკომპანიებმა მიიღეს რეკორდული მოგება, რომელიც 260 მილიარდ ევროს აღემატება 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის დაწყების შემდეგ.

ხუთმა უმსხვილესმა დასავლურმა ნავთობისა და გაზის კომპანიამ - Shell, BP, Chevron, ExxonMobil და TotalEnergies - დააგროვეს 281 მილიარდ დოლარზე მეტი (261 მილიარდი ევრო) მოგება მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ნათქვამია Global Witness-ის მიერ 19 თებერვალს გამოქვეყნებულ მოხსენებაში.

COVID-19-ის პანდემიის შემდგომ პერიოდში ენერგომატარებლების საბითუმო ფასები საგრძნობლად გაიზარდა უკრაინაში კონფლიქტის გამო.

რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა უკრაინაში შეჭრის გამო და მოსკოვის საპასუხო გადაწყვეტილებამ - შეაჩეროს გაზის იმპორტი გარკვეულ ქვეყნებში, გაზარდა გაზის ფასი ევროპაში, რამაც გამოიწვია მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი.

ამის შედეგად ამერიკული და ევროპული ნავთობისა და გაზის კომპანიების შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა.

ამ რეკორდული შემოსავლების გამო, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაადანაშაულა ნავთობკომპანიები „ომით გამდიდრებაში“, ისევე როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერესმა, რომელმაც დაგმო ის ფაქტი, რომ ეს კომპანიები „ყელში უჭერენ კაცობრიობას“.

პატრიკ გეილიმ, წიაღისეული საწვავის სფეროს უფროსმა მკვლევარმა Global Witness-ში, თქვა, რომ „მიუხედავად იმისა, თუ რა ხდება ფრონტის წინა ხაზზე, წიაღისეული საწვავის ძირითადი მწარმოებლები არიან უკრაინის ომის მთავარი გამარჯვებულები“.

„მათ დააგროვეს უთვალავი სიმდიდრე სიკვდილის, ნგრევისა და ენერგომატარებლებზე მზარდი ფასების ფონზე“.

წყარო: eceee.org - <https://bit.ly/3OU5Ktg>

ელექტროენერგეტიკა

ნეტო აღრიცხვის სისტემაში ჩართული ელექტროსადგურების რაოდენობა გაიზარდა

სემეკის მიერ დანერგილ ნეტო-აღრიცხვის სისტემაში ჩართული ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 67 მეგავატი შეადგინა განახლებადი ენერჯების ათვისების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ დანერგილ ნეტო-აღრიცხვის სისტემაში ჩართული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების რაოდენობა გაიზარდა. 2024 წლის იანვრის მონაცემებით, სისტემაში ჩართულია 1066 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური. ქსელში ჩართული სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 67 მეგავატია. ნეტო-აღრიცხვის სისტემაში ჩართული სადგურების უმეტესობა (98%) მზის

ენერგიაზე მომუშავეა (მზის პანელები), ხოლო ქარისა და წყლის რესურსებზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურები 2%-ს შეადგენს.

1066 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურიდან სს „თელასის“ გამანაწილებელ ქსელში ჩართულია - 319 ელექტროსადგური. აქედან, საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის - 175; ხოლო არასაყოფაცხოვრებო მიზნებისთვის - 144 სადგური. სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ გამანაწილებელ ქსელში ჩართულია - 747 ელექტროსადგური, საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის - 420; ხოლო არასაყოფაცხოვრებო მიზნებისთვის - 327 სადგური. სემეკის რეგულაციების შესაბამისად, საკუთარი მოხმარებისთვის, მომხმარებელს ან მომხმარებელთა ჯგუფს შეუძლია ელექტროენერგია გამოიმუშაოს განახლებადი ენერჯის - მზის, ქარის, წყლის ან ჩამდინარე წლის გამოყენებით. ჭარბად გამოიმუშავებული ენერგია მიაწოდოს გამანაწილებელი ქსელის მფლობელ კომპანიას. ნეტო-აღრიცხვა არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას და ჭარბად გამოიმუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის დადგმული მაქსიმალურ სიმძლავრე 500 კილოვატს შეადგენს.

წყარო: <https://bit.ly/4bN0zGx>

იანვარში საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა 15.5 თეთრი შეადგინა, დერეგულირებული ელექტროსადგურების ფასმა კი - 18.5

2024 წლის იანვარში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 396 344 163.3 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში, ქსელში მთლიანი მიწოდების 30.3% წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 61 522 478.4 ლარი შეადგინა. აქედან, პირდაპირი კონტრაქტით გაყიდული ელექტროენერგია 70%-ია, 30% კი საბალანსო ელექტროენერგია.

იანვარში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კილოვატ საათზე 15.5224888 თეთრი შეადგინა, ხოლო დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი - 18.581 თეთრი.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის უმეტესი ნაწილი შედგება თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯისგან. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 29% იყო, ქარის ელექტროსადგურის - 1%, თბოელექტროსადგურის - 66%, ხოლო იმპორტის წილი - 4%.

საბალანსო ელექტროენერჯის გამყიდველების წილი ასე გამოიყურება: 66% თბოელექტროსადგური, 29% ჰიდროელექტროსადგური, 4% იმპორტი, 1% ქარის ელექტროსადგური,

2024 წლის იანვარში, ესკო-დან პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდულმა საბალანსო ელექტროენერჯის წილმა მთლიან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 1.4% შეადგინა. აგრეთვე, იანვრის თვეში, გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით, საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა მოხდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომლის წილმაც საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 5.1% შეადგინა.

იანვარში გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 15 933 892.00 ლარი.

წყარო: <https://bit.ly/42UIxhm>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

სამსახურში ელექტრომობილის უფასო დამუხტვა? ეს შესაძლებელია მზის ენერჯიის ოპტიმალური გამოყენების საშუალებით

ელექტრომობილების გაყიდვების გლობალურმა ზრდამ აიძულა ავსტრალიის უნივერსიტეტი გამოეკვლია, თუ როგორ შეიძლება შესთავაზოს პერსონალს და სტუდენტებს ელექტრომობილების უფასო ან ნომინალური დამტენი საშუალებები მზის ფოტოელექტრული სისტემის ოპტიმიზაციისა და სამუშაო ადგილებზე ელექტროენერჯიის ხარჯების მინიმიზაციის გზით.

სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის (UniSA) Mawson Lakes-ის კამპუსში ბაზირებული ინჟინერ-მკვლევარები აცხადებენ, რომ განახლებადი ენერჯიის გამოყენება ელექტრომობილების დღისით დატენვისთვის არის მთავარი, რაც ამცირებს ელექტროენერჯიის მოთხოვნილებას სადამოს საათებში და ეხმარება ავსტრალიის წმინდა ნულოვანი ემისიის მიზნების მიღწევაში 2050 წლისთვის.

წყარო: sciedaily.com/ - <https://bit.ly/3uK6vj0>

წყალბადი: დაბალნახშირბადიანი მომავლის საწვავი

სემეკთან არსებული ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის საბჭოს წევრი, სალომე ჯანელიძე წყალბადის ენერჯიის სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს:

„მიუხედავად იმისა, რომ წყალბადის ენერჯია ახალი კონცეფცია არ არის, უკანასკნელ წლებში მის მიმართ ინტერესი განსაკუთრებულად გაიზარდა. მიზეზი – კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაა. დაბალემისიანი წყალბადი ხშირად განიხილება, როგორც აუცილებელი ელემენტი პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული წმინდა ნულოვანი ემისიების 2050 წლისთვის მისაღწევად. განახლებადი ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) თანახმად, სცენარში, სადაც გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით 1.5°C-მდეა შეზღუდული, 2050 წლისთვის წყალბადის წილი ენერჯიის მთლიანი მოხმარების 14%-ია, საიდანაც 94% განახლებადი წყაროებიდანაა წარმოებული“

დაბალნახშირბადიანი წყალბადის პოტენციური განსაკუთრებით მაღალია ისეთ სექტორებში, სადაც რთულია წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება. ასეთია ფოლადისა და ცემენტის წარმოება, ქიმიური მრეწველობა, ასევე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის საწვავი. გარდა ამისა, წყალბადის გამოყენება შესაძლებელია სხვა დანიშნულებებითაც, მათ შორის, ენერჯიის გრძელვადიანი შენახვისთვის, ელექტროენერჯიის წარმოებისა და სისტემის დაბალანსებისთვის. წიაღისეული საწვავის წყალბადით ჩანაცვლებით აგრეთვე შესაძლებელია სახელმწიფოების ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ.

წყალბადი, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ელემენტია, ბუნებაში თავისუფალი ფორმით იშვიათად გვხვდება. იგი უმეტესად მოიპოვება მოლეკულებში, სხვა ელემენტებთან ერთად და მისი გამოყოფისთვის ენერჯიაა საჭირო. წყალბადს განასხვავებენ მისი წარმოებისთვის გამოყენებული ენერჯიის წყაროს მიხედვით: „ნაცრისფერი“ წყალბადი იწარმოება ბუნებრივი გაზით, „ლურჯი“ – ბუნებრივი გაზითა და ნახშირბადის დაჭერისა და შენახვის ტექნოლოგიის გამოყენებით, „შავი“ – ქვანახშირით, „ვარდისფერი“ – ბირთვული ენერჯიით და სხვა. რაც შეეხება „მწვანე“ წყალბადს, მისი გამოყოფა წყლის მოლეკულებიდან ხდება ელექტროლიზის მეშვეობით, განახლებადი ენერჯიით წარმოებული ელექტროენერჯიის გამოყენებით.

წყალბადი დღესაც დიდი რაოდენობით გამოიყენება ისეთ ინდუსტრიებში, როგორიცაა ამიაკის წარმოება სასუქისთვის და ნავთობის გადამამუშავება. „მწვანე“ წყალბადის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია სწორედ არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) ცნობით, წყალბადის წარმოებაში დაბალემისიანი წყალბადის წილი დღეს 1%-ზე ნაკლებია. „მწვანე“ წყალბადით წიაღისეული საწვავით წარმოებული წყალბადის ჩანაცვლება ხელს შეუწყობს ელექტროლიზის ტექნოლოგიის ფართომასშტაბიან გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს მის ღირებულებას.

დაბალნახშირბადიანი წყალბადისადმი ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი. მიზეზი სუფთა წყალბადის ეკონომიკის განვითარების წარსული წარუმატებელი მცდელობები და ის არაერთი გამოწვევაა, რომლებიც აფერხებს დაბალნახშირბადიანი წყალბადის ფართოდ გავრცელებას. ასეთია, მაგალითად, მისი ღირებულება, რომელიც აღემატება ელექტროენერჯიისა და წიაღისეული საწვავის ფასს. შედეგად, პროდუქტზე მოთხოვნა დაბალია, რაც, თავის მხრივ, ართულებს სუფთა წყალბადის პროექტების დაფინანსებას. გარდა ამისა, „მწვანე“ წყალბადის წარმოებისთვის საჭიროა დიდი ოდენობის განახლებადი ენერჯია და წყალი. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს ასევე წყალბადის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სექტორის განვითარებისთვის საჭირო მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბება.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დაბალნახშირბადიანი წყალბადის პროექტების მხარდაჭერა სახელმწიფოების მიერ. სუფთა წყალბადის მხარდაჭერი პოლიტიკით მოწინავე ადგილებს აშშ და ევროკავშირი იკავებს. 2022 წელს აშშ-ში მიღებული ინფლაციის შემცირების აქტი ითვალისწინებს \$3-მდე საგადასახადო მხარდაჭერას ერთი კილოგრამი სუფთა წყალბადისთვის, რაც, BloombergNEF-ის თანახმად, საშუალებას მისცემს დაბალნახშირბადიან წყალბადს, კონკურენცია გაუწიოს წიაღისეული საწვავით წარმოებულ წყალბადს. გასულ კვირას აშშ-ის ხაზინამ წარადგინა მხარდაჭერით სარგებლობის წესის პროექტი, რომლის თანახმად, მხარდაჭერის მისაღებად, წყალბადის მწარმოებელი უნდა იყოს მიერთებული იმავე რეგიონულ ქსელზე, რომელზეც მიერთებულია მისი წარმოებისთვის გამოყენებული, განახლებადი ენერჯიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგური. ამასთანავე, წყალბადის საწარმოებლად გამოყენებული ელექტროენერჯია მიღებული უნდა იყოს ახლად აშენებული სუფთა ენერჯიის წყაროდან, 2028 წლიდან კი, პროექტის თანახმად, სავალდებულო ხდება წყალბადის იმ საათებში წარმოება, როდესაც ხდება სუფთა ელექტროენერჯიის გენერირება.

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დაწყების შემდგომ მიღებული REPowerEU-გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებლებს 2030 წლისთვის

ევროკავშირში განახლებადი წყალბადის წარმოებისა და იმპორტისთვის, ჯამურად 20 მილიონ ტონას წელიწადში. ნოემბერში ევროკომისიამ დაამტკიცა საერთო ინტერესის მქონე პროექტებისა და ორმხრივი ინტერესის მქონე პროექტების სია, სადაც 166 პროექტიდან 65 წყალბადს უკავშირდება. გარდა ამისა, ნოემბრის ბოლოს დაიწყო საპილოტე აუქციონი, რომელიც ითვალისწინებს 800 მილიონ ევრომდე მხარდაჭერას წყალბადის პროექტებისთვის. 8 დეკემბერს ევროპის პარლამენტმა და საბჭომ მიაღწიეს შეთანხმებას ევროკავშირის წყალბადისა და დეკარბონიზებული გაზის პაკეტზე, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ევროკავშირში წყალბადის ბაზრის შექმნას და დაარეგულირებს მის გადაცემას, განაწილებასა და შენახვას.

IEA-ის ანგარიშის თანახმად, დაბალემისიანი წყალბადის წარმოების დაანონსებული პროექტების რაოდენობა სწრაფად იზრდება და 2030 წლისთვის შესაძლოა, 38 მილიონ ტონას მიაღწიოს. მიუხედავად ამისა, საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებულია პოტენციური წარმოების მხოლოდ 4%-თან მიმართებით. ამავდროულად, გამოიკვეთა ასიმეტრია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რადგან დაბალემისიანი წყალბადის წახალისების პოლიტიკა ძირითადად კონცენტრირებულია მის წარმოებაზე და ნაკლებად – მოხმარებაზე. IEA-ის თანახმად, გლობალური სამიზნე მაჩვენებელი დაბალემისიანი წყალბადის წარმოებისთვის ჯამურად 27-35 მილიონი ტონაა, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი მოხმარებისთვის მხოლოდ 14 მილიონ ტონას შეადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო რესურსები შეზღუდულია, დარგის განსავითარებლად აუცილებელია კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა. ამ მხრივ დღეს არსებული ტენდენცია არადამაკმაყოფილებელია. მსოფლიო მასშტაბით კერძო საწარმოების მიერ ხელმოწერილია შეთანხმება 2 მილიონ ტონამდე დაბალემისიანი წყალბადის შესყიდვაზე, თუმცა მათი ნახევარზე მეტი არასავალდებულო ხასიათისაა.

დაბალნახშირბადიანი წყალბადის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი წარმოშობის სერტიფიცირება, რაც ადასტურებს მის დაბალემისიურობას და თავიდან აირიდებს ე.წ. „გრინვოშინგს“. ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს წყალბადის სერტიფიცირების სქემების განვითარება, თუმცა აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა და სახელმწიფოების მიერ სერტიფიკატების ორმხრივი აღიარება.

დაბალნახშირბადიან წყალბადს გააჩნია დიდი პოტენციალი როგორც მდგრად საწვავს, თუმცა აუცილებელია შესაბამისი გამოწვევების დაძლევა, რომლებიც უკავშირდება მის წარმოებას, ღირებულებას, ტრანსპორტირებასა და რეგულირებას. სახელმწიფოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო თანამშრომლობით შესაძლებელია წყალბადი ჩვენი მომავლის ენერგეტიკული ლანდშაფტის მნიშვნელოვან ნაწილად იქცეს“.

წყარო: forbes.ge - <https://bit.ly/3Iarlee>

კლიმატის ცვლილება

კვლევის თანახმად, ავტომობილების გამონაბოლქვი 14%-ით მეტია, ვიდრე მწარმოებლები აცხადებენ რეკლამებში

სხვაობა ავტომობილების ოფიციალურ და რეალურ გამონაბოლქვებს შორის გაიზარდა 80%-ით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ტესტირების

მოწინავე პროცედურები ასეთი შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად, აჩვენა ახალმა კვლევამ.

კვლევამ, რომელიც ჩატარდა სუფთა ტრანსპორტის საერთაშორისო საბჭოს (ICCT) მიერ (არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარა „დიზელგეიტის“ სკანდალის გამოვლენას), აჩვენა, რომ ევროპაში მსუბუქი მანქანების CO₂-ის ოფიციალური და რეალური ემისიის მნიშვნელობების შედარებისას, მონაცემები არ ემთხვევა.

ICCT 2010-იანი წლების დასაწყისიდან აკონტროლებს სატრანსპორტო საშუალებების ემისიების შეუსაბამობას. 2022 წელს გერმანიაში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებში 14%-იანი სხვაობა დაფიქსირდა, 2018 წელს დაფიქსირებულ 8%-თან შედარებით.

„საწინააღმდეგო ქმედების გარეშე, CO₂-ის ემისიის ოფიციალური მნიშვნელობები სულ უფრო და უფრო შეუსაბამო გახდება რეალურ მნიშვნელობებთან“, - თქვა იან დორნოფმა, ICCT-ის კვლევის ხელმძღვანელმა და მოხსენების თანაავტორმა.

„ეს ძირს უთხრის ევროკავშირის მცდელობებს, შეამციროს ტრანსპორტთან დაკავშირებული CO₂-ის გამონაბოლქვი და გამოიწვევს იმას, რომ მომხმარებლები საწვავში იმაზე მეტს გადაიხდინა, ვიდრე მოსალოდნელი იყო“, - დასძინა დორნოფმა.

კვლევაში გააანალიზებულია ევროპული გარემოს სააგენტოს მიერ წარმოდგენილი CO₂-ის ემისიის მონაცემები, აგრეთვე საწვავის რეალური მოხმარების შესახებ ინფორმაცია 160 000-ზე მეტი შიგაწვის ძრავიანი ავტომობილიდან და ჰიბრიდული მანქანებიდან, რომლებიც მომხმარებლებმა განაცხადეს spritmonitor.de ვებსაიტზე.

შესწორებული ტესტირება

2015 წლის „დიზელგეიტის სკანდალის“ შემდეგ, რომელშიც აღმოჩნდა, რომ მსხვილი ავტომწარმოებლები, როგორცაა Volkswagen, იყენებდნენ ეგრეთ წოდებულ „დამარცხების მოწყობილობებს“, რათა თაღლითურად შეემცირებინათ გამონაბოლქვის მაჩვენებლები ლაბორატორიული ტესტების დროს, ევროპაში არსებული მეთოდოლოგია გადაიხედა.

წყარო: ecee.org - <https://bit.ly/3UNQN0T>

კავშირი გლობალურ მშპ-ს ზრდასა და CO₂-ის ემისიებს შორის სწრაფად სუსტდება. მიაღწევს თუ არა ემისიები პიკს 2030 წელზე ადრე?

ეკონომიკური ზრდა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სათბურის გაზების ემისიების ზრდასთან ინდუსტრიული ხანიდან მოყოლებული. მაგრამ ახალი მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ მშპ-ს ზრდა და CO₂-ის ემისიები განსხვავდება. სიდჰარტ სინგჰი საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოდან (IEA) წარმოგიდგენთ ციფრებს.

მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც ჩანს ეს განსხვავება ახლა დაფიქსირებულია, 2007 წელი გახდა ემისიების პიკის მომენტი (და არა მხოლოდ წარმოების სხვა ქვეყნებში გადატანის გამო). განვითარებად ქვეყნებში კი მშპ-ის ზრდა ბევრად უსწრებს ემისიების ზრდას; მათ შორის ჩინეთში, ინდოეთში და აფრიკის, ევრაზიისა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა და რეგიონი რჩება, სადაც მშპ და ემისიები ერთად აგრძელებენ ზრდას, ამბობს სინგჰი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში (რაც ჯამურად შეადგენს გლობალური მშპ-ს მხოლოდ 6.6%-ს). წარმატების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია სუფთა ენერჯის სწრაფი ზრდა (დღეს წიაღისეულ

საწვავში ჩადებულ ყოველ დოლარზე მოდის 1,8 დოლარის ინვესტიცია სუფთა ენერჯიაში), ელექტრიფიკაციის მზარდი ტენდენცია გლობალურად, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და უარი ნახშირის გამოყენებაზე. ეს ყველაფერი მიუთითებს ემისიების პიკი იქნება 2030 წელზე გაცილებით ადრე. მაგრამ გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 1,5°C-მდე შეზღუდვა მაინც მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

ინდუსტრიული ეპოქის გარიჟრაჟიდან მოყოლებული, წიაღისეული საწვავი იყო ეკონომიკური განვითარების მთავარი ხელშემწყობი, რომელიც იყო საწვავი, საიდანაც გამომჟღავნებოდა მსოფლიოს ელექტროენერჯიის უმეტესი ნაწილი, ენერჯიით ამარაგებდა ავტომობილებს, გემებსა და თვითმფრინავებს და ხელს უწყობდა სამრეწველო აქტივობას. შედეგად, ეკონომიკური ზრდა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სათბურის გაზების ემისიების ზრდასთან თანამედროვე ეკონომიკური ისტორიის უმეტესი ნაწილის განმავლობაში.

წყარო: eceee.org - <https://bit.ly/3wunlmB>

ღონისძიებები

[ვებინარი – ენერგოეფექტურობის ინტეგრირება ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმების საბოლოო განახლებაში](#)

29 თებერვალი, 2024 წ.

ორგანიზატორი: IEECP - ევროპის ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკის ინსტიტუტი
განსახილველი თემები: ენერგოეფექტურობა, NECP

კონფერენცია - [მდგრადი ენერგეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერგეტიკული პოლიტიკა

[GlobalMethaneForum 2024](#)- მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO₂-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

[ფოტოელექტრული კვლევის იტალიური ქსელის კონფერენცია -](#)

ConferenzaReteItalianaRicercaFotovoltaico 2024

თარიღი: 11- 12 ივნისი 2024

ადგილი: ბოლცანო, იტალია